# FemiLift

A Better Feminine Life

## საუკეთესო კლინიკური გადაწყვეტილება, ნებისმიერ ასაკში ქალური სიჯანსაღის შესანარჩუნებლად!



- სწრაფი, ჰომოგენური მკურნალობა;
- უსაფრთხო, მარტივი და ეფექტური – მომენტალური შედეგიანობა;
- მინიმალურად ინვაზიური, ამბულატორიული მანიპულაცია;
- ჰიგიენური ნორმების მაქსიმალური დაცვა
- კლინიკურად და მეცნიერულად დამტკიცებული ტექნოლოგია

SANSO®
SYNERGY OF INNOVATION, QUALITY & SUPPORT!

Alma Lasers™ | Surgical | The Alma Lasers Surgical Division

# SANSO®

SYNERGY OF INNOVATION, QUALITY & SUPPORT!

WWW.SANSO.GE / WWW.SOPRANOPLATINUM.GE / WWW.SPEEDGEL.GE

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო,

მოხარულები ვართ წარმოგიდგინოთ კომპანია SANSO, მსოფლიო ბრენდ ALMA LASERS-ის ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში. SANSO გახლავთ - საქართველოს ესთეტიკური მედიცინის ბაზრის აბსოლიტური ლიდერი. მსოფლიო ბიზნეს ორგანიზაციის ICC-ის წევრი. 2013-2015 წლებში ჩვენი კომპანია ALMA LASERS-ის მიერ დასახელდა საუკეთესოდ ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის, შემდეგ ნომინაციებში - საუკეთესო გაყიდვების მაჩვენებელი, საუკეთესო მარკეტინგული აქტივობები!

,,თუ თქვენ ეძებთ საუკეთესოს, მაშინ SANSO არის ერთადერთი არჩევანი“

ALMA LASERS-ი წარმოადგენს ესთეტიკური, სამედიცინო და ქირურგიული დანადგარების მწარმოებელ მსოფლიო წამყვან ბრენდს. ჩვენი პროდუქცია მოიცავს - ლაზერულ, ფოტო, რადიოსიხშირის და ულტრაბგერით აპარატებს.

ALMA LASERS-ის მიზანია საუკეთესო ხარისხის, ინოვაციური, სრულფასოვანი, მრავალფუნქციური და მაღალი წარმადობის მქონე დანადგარების შექმნა, რომელიც საშუალებას მოგცემთ შესთავაზოთ მომხმარებელს უსაფრთხო, სწრაფი, ეფექტური სერვისი და რაც ყველაზე მთავარია გახადოთ თქვენი ბიზნესი მეტად რენტაბელური.

SANSO გთავაზობთ:

- ინოვაციურ და ექსკლუზიურ, დაპატენტებულ ტექნოლოგიებს ALMA LASERS-ისგან. დამტკიცებული CE, ISO, FDA სერტიფიკატებით და მრავალი კლინიკური და სამეცნიერო პუბლიკაციებით;

- ფასის და ხარისხის საუკეთესო კომბინაციას;

- სრულყოფილ ტექნიკურ მხარდაჭერას - სერტიფიცირებული ტექნიკოსთა ჯგუფი გაგიწევთ კვალიფიციურ სერვისს, როგორც საგარანტიო ასევე პოსტგარანტიულ პერიოდში;

- სრულ ფინანსურ მხარდაჭერას - ჩვენ წარმატებით გიშუამდგომლებთ სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციებთან - ლიზინგი/ბანკი. ასევე გარკვეულ ჯგუფს საშუალება გექნებათ ისარგებლოთ ინოვაციური გადახდის მექანიზმით - SANSO Lease PRO;

- SANSO M&M - ჩვენი გუნდი გაგიწევთ უფასო კონსულტაციებს მენეჯმენტისა და მარკეტინგის კუთხით

- SANSO Guides - ბიზნეს გაიდლაინები ქართულ ენაზე - რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ მიაღწიოთ წარმატებას საქართველოს ესთეტიკურ ბაზარზე;

- SANSO School - ჩვენ ვუზრუნველყოფთ თქვენი პერსონალის კვალიფიციურ და პროფესიონალურ გადამზადებას თითოეულ აპარატზე;

- მაღალ კვალიფიციური მენეჯერები დაგეხმარებიან წორი არჩევანის გაკეთებაში;

ჩვენ გარწმუნებთ, რომ SANSO არის საუკეთესო გადაწყვეტილება თქვენი წარმატებისთვის!

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით

ტელ: 2 47 11 14
მობ: 579 29 22 29
ელ. ფოსტა: info@sanso.ge

SANSO+

SANSO M&M  SANSO School  SANSO Guides

# SANSO Start-Up Pro

**გსურთ დაიწყოთ ბიზნესი ესთეტიკის სფეროში?**
**მაშინ ერთადერთი ადგილი სადაც შეგიძლიათ მიიღოთ პროფესიონალური კონსულტაცია, გახლავთ კომპანია SANSO:**

- პროექტის ფარგლებში ჩვენი კომპანია მოგაწვდით დეტალურ ბიზნეს და ფინანსურ ანალიზს იმის დასტურად თუ რამდენად დიდი შემოსავალი შეგიძლიათ მიიღოთ დროის მოკლე მონაკვეთში, მსოფლიო ბრენდ ALMA LASERS-ის ინოვაციური აპარატების მეშვეობით;

- აპარატის შესაძენად ჩვენ გთავაზობთ გადახდის ინოვაციურ მეთოდს ,,30-70" - ეს გულისხმობს პროექტის დაფინანსებას სალიზინგო კომპანიისა და ჩვენს მიერ;

- მოგაწვდით უნივერსალურ გაიდლაინებს ქართულ ენაზე - თუ როგორ უნდა მიაღწიოთ წარმატებას ესთეტიკა-კოსმეტოლოგიის ბაზარზე საქართველოში;

- განვახორციელებთ სპეციალისტების მაღალკვალიფიციურ გადამზადებას - რის შემდეგადაც გაიცემა საერთაშორისო სერთიფიკატი;

- ჩვენი კომპანია დაგეხმარებათ შესაბამისი ფართის მოძიებაში - ეს იქნება ან ცალკე ფართი ან უკვე არსებულ აქტიურ ცენტრში განათავსებთ თქვენს აპარატს.

კომპანია SANSO-ს მაღალკვალიფიციური გუნდი, გაგიწევთ პროფესიონალურ კონსულტაციებს!



Alma FemiLift




**ყველაზე ინოვაციური და სრულყოფილი $CO_2$ ლაზერი**
**მსოფლიო ბრენდ ALMA LASERS-ისგან!**

# ქალთა ჯანმრთელობის აღდგენა

ALMA FEMILIFT - ეს არის თანამედროვე, მინიმალურად ინვაზიური ამბულატორიული გადაწყვეტილება, რომელიც იყენებს $CO_2$ ტექნოლოგიას, სხვადასხვა ქალური პრობლემის ოპტიმალური გადაწყვეტისთვის. პროცედურა სწრაფი, უმტკივნეულო და აბსოლუტურად უსაფრთხოა და აქვს მაღალეფექტური შედეგები.

ცხოვრებისეულმა პროცესებმა, როგორებიცაა მშობიარობა, წონის და ჰორმონალური ცვლილებები, შეიძლება ზედმეტად დაჭიმოს და დააზიანოს ვაგინალური ქსოვილები, მენჯის ძირი და შეცვალოს ვაგინალური კედლების ლორწოვანის ტონი. ამ ფიზიოლოგიურ ცვლილებებს შეუძლია გამოიწვიოს ისეთი მდგომარეობები, როგორიცაა შარდის სტრესული შეუკავებლობა, ვაგინალური ატროფია, სიმშრალე და მორეციდივე ინფექციები - რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენენ ქალის სიცოცხლის ხარისხსა და თვითდაჯერებულობაზე.

FEMILIFT უნივერსალური გადაწყვეტილებაა, რომელიც სამედიცინო პრაქტიკოსებს საშუალებას აძლებს, უმკურნალონ სხვადასხვა ქალურ ჩვენებას სწრაფად და ეფექტურად. პროცედურები ტარდება ამბულატორიულად და არ საჭიროებს ანესთეზიას ან პაციენტის დაყოვნებას, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ქალებს შეეძლებათ მათი რუტინული საქმიანობის გაგრძელება და თავდაჯერებულობის მალევე აღდგენა.

**FEMILIFT თქვენი კლინიკისთვის ხსნის პაციენტების ახალ მიმართულებას, ასაკისა და ცხოვრების ეტაპის მიხედვით, ზრდის თქვენს წვდომას ახალ სეგმენტზე და თქვენი პრაქტიკისთვის მეტი ღირებულების მინიჭებას უზრუნველყოფს.**

"FEMILIFT წარმოადგენს ახლებურ მიდგომას ამბულატორიული სამედიცინო მკურნალობისთვის, მკურნალობის შესანიშნავი შედეგებით, გიხსნით რა გზას ახალი, უსაფრთხო და ეფექტური ამბულატორიული ქირურგიული მკურნალობის შესაძლებლობებისა, რომლებსაც არ აქვთ გვერდითი ეფექტები და სრულიად ასიმპტომურია."

პროფ. პაოლო სკოლო, პრეზიდენტი S.I.G.O. რომი, იტალია

---

"ფრაქციული $CO_2$ ლაზერის აპლიკაცია (FemiLift™), ქმნის თერმულ და აბლაციურ ეფექტს ვაგინალურ კედელზე, ხელს უწყობს რა ვაგინალურ სუბლორწოვან გარსში კოლაგენის წარმოქმნის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. ქალების 80%-მა, რომლებმაც კვლევაში მიიღეს მონაწილეობა, განიცადეს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება სექსუალურ რეაქციასთან დაკავშირებით."

პროფ. გაბრიელ ალბერტო ფემოპასე
კორდობას უნივერსიტეტი, არგენტინა (UNC)

# განსხვავებული სამედიცინო მანიპულაციების ერთი გადაწყვეტილება!

**FEMILIFT არის სრულყოფილი გადაწყვეტილება, რომელიც მკურნალობს ქალური მდგომარეობების ფართო სპექტრს. მისი მეშვეობით შეასრულებთ ისეთ მაღალ მოთხოვნად პროცედურებს როგორებიცაა:**

## ინტიმური პლასტიკა 360 გრადუსით

უროგენიტალურმა ატროფიამ - ერთადერთმა სიმპტომმა, რომელსაც მენოპაუზის მქონე ქალები განიცდიან რაღაც მომენტში, შეიძლება მიიყვანოს სიმჭიდროვის შემცირების და ვაგინალურ არეში მგრძნობელობის დაქვეითებისკენ, რაც იწვევს სექსუალური აქტივობის დროს კმაყოფილების შემცირებას და ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს. FEMILIFT გთავაზობთ მარტივ და უსაფრთხო გადაწყვეტილებას, რაც აღადგენს ვაგინალური კედლების ლორწოს ხარისხს და ზრდის ვაგინალური ქსოვილის მგრძნობელობას.

ამ დროს ხორციელდება მძლავრი თერმული ზემოქმედება და მიკრო-აბლაციის აპლიკაცია ვაგინალური ქსოვილის მრავალ ფენაზე, რაც იწვევს ელასტინის ბოჭკოების მიერ კოლაგენის რეგენერაციის სტიმულირებას, ნეოვასკულარიზაციასა და ვაგინალური ლუბრიკაციის გაუმჯობესებას. ქალის გენიტალური ქსოვილები უფრო ახალგაზრდულ მდგომარეობას უბრუნდება, რასაც ემატება უფრო სქელი ეპითელიუმი, კოლაგენის ახალი ბოჭკოები და საშოს შემცირებული დიამეტრი.



ჰისტოლოგია ა: ვაგინალური ქსოვილის შრეები

## შარდის სტრესული შეუკავებლობა (SUI)

შარდის სტრესული შეუკავებლობა (SUI) საკმაოდ ხშირი და უხერხული მდგომარეობაა, რომელიც უვითარდება ქალების საკმაოდ მაღალ პროცენტს და რომლის პრევალენტობა ასაკთან ერთად იზრდება. ამერიკის უროლოგთა ასოციაციის მონაცემების თანახმად, შარდის შეუკავებლობის გავრცელება 30-60 წლის ქალებში 30% შეადგენს, მათგან დაახლოებით ნახევარი (15%) კი უკავშირდება SUI-ის (15%). FEMILIFT-ით მანიპულაცია, უსაფრთხო და ეფექტური მკურნალობაა ამ ჩვენებისთვის, უზრუნველყოფს რა ქალებისთვის უფრო კომფორტულ ცხოვრებას - პროცედურა არის სწრაფი და უმტკივნეულო. რაც ყველაზე მთავარია არ საჭიროებს რეაბილიტაციის პერიოდს.

SUI მოიცავს შარდის უნებლიე გაჟონვას, მუცლის ღრუს შიდა წნევის გაზრდის დროს. ეს მდგომარეობა შეიძლება გამოწვეული იყოს სუბ-ურეთრალური მხარდაჭერის დაკარგვის გამო, რაც, როგორც წესი, მენჯის მხარდამჭერი სტრუქტურის დაზიანების შედეგად ვითარდება. პაციენტები სხვადასხვა სიმძიმის გაჟონვას აღნიშნავენ, რომელიც ვითარდება ისეთი აქტივობებისას, რომლებიც მუცლის ღრუს შიდა წნევის მატებას იწვევს, როგორიცაა ხველა, ცემინება, მძიმე ტვირთის აწევა და ფიზიკური აქტივობა. დიდი სიმძლავრის ენერგიის გამოყენებით, ღრმა თერმული ეფექტის მისაღწევად, FEMILIFT ახდენს კოლაგენის განახლების სტიმულირებას, ისევე, როგორც ელასტინის ბოჭკოების შეკუმშვას, გაახალგაზრდავებისა და ქსოვილის რემოდელირების ჩათვლით. ხანგრძლივი პულსირების ტექნოლოგა უზრუნველყოფს მძლავრი თერმული ეფექტის შექმნას, რაც ამგვარი პროცედურებისთვის მნიშვნელოვანი უპირატესობაა.

ის კურნავს მთლიან პრეურეთრალურ სივრცეს, ზრდის რა ვაგინალური კედლების სისქეს და უზრუნველყოფს შუა ურეთრის მხარდაჭერას ქვედა მხრიდან. შედეგად ვიღებთ SUI-ის სიმპტომების საგრძნობ შემცირებას, შარდვის გაუმჯობესებულ კონტროლსა და რაც მთავარია კმაყოფილ პაციენტებს.

*"ამ პროცედურას უამრავი უპირატესობა აქვს. მკურნალობა უმტკივნეულო და მინიმალურად ინვაზიურია, ტარდება ამბულატორიულად და ახასიათებს წარმატების მაღალი მაჩვენებელი და გამოჯანმრთელების სიჩქარე - პაციენტების ნორმალურ აქტივობებზე გავლენის გარეშე."*

**ექ. გაბრიელ ალბერტო ფემოპასე**
კორდობას უნივერსიტეტი, არგენტინა (UNC)

## ვაგინალური სიმშრალე და მორეციდივე ინფექციები

FEMILIFT ეფექტურად მუშაობს ქალთა ჯანმრთელობის ფართო სპექტრთან მიმართებაში. სიმშრალის და მორეციდივე ვაგინალური ინფექციების  მკურნალობა ხდება ვულვისა და ვაგინალური ქსოვილების გაახალგაზრდავებით, რაც აუმჯობესებს ვაგინალურ ლუბრიკაციას და ახდენს ვაგინალური PH-ისა და ფლორის ნორმალიზებას. FEMILIFT იყენებს ლაზერულ მკურნალობას, **ადგილობრივი იმუნური სისტემის პასუხის გასაძლიერებლად** და ქრონიკული ვაგინალური ინფექციების აღმოსაფხვრელად.

## პოსტმენოპაუზის სინდრომი – GSM

GSM (მენოპაუზის გენიტო-ურინარული სინდრომი) მსოფლიოს მასშტაბით ქალებისთვის მზარდ პრობლემას წარმოადგენს. ჩრდილოეთ ამერიკის მენოპაუზის საზოგადოების მონაცემების თანახმად, 2025 წლისთვის პოსტმენოპაუზის მქონე ქალების რიცხვი გაიზრდება 1,1 მილიარდამდე, რომელთა ნახევარზე მეტს განუვითარდება ვულვო-ვაგინალური სიმპტომები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს მათ ცხოვრების წესზე, ემოციებსა და სექსუალურ ცხოვრებაზე.

მენოპაუზასთან დაკავშირებული ჰორმონალური ცვლილებები იწვევს ვაგინის ამომფენი გარსის გათხელებას, გამოშრობას, ნაკლებ ელასტიურობასა და ანთებისკენ მიდრეკილებას. FEMILIFT აახალგაზრდავებს ვაგინის ამომფენ გარსს, **ზრდის რა ვაგინის კედლების სისქესა და აძლიერებს ბუნებრივ ლუბრიკაციას.** მკურნალობა ამცირებს არაკომფორტულ სიმპტომებს, როგორიცაა ქავილი, წვა და ფრიქციები და ეხმარება სექსუალური ფუნქციის გაუმჯობესებაში.

## მშობიარობის შემდგომი რეაბილიტაცია

მშობიარობა ქალის ორგანიზმში ბევრ ფიზიოლოგიურ ცვლილებას იწვევს. მშობიარობის შემდეგ, ვაგინის არეში შეიძლება იყოს დაჭიმულობის და სიმშრალის შეგრძნება და მენჯის ძირი შეიძლება დასუსტდეს. FEMILIFT ახდენს მთლიანი ვაგინის რეაბილიტაციას, **ვაგინალური ქსოვილის გაძლიერებისა და ტონუსში მოყვანის გზით**, რითაც აღადგენს მის ძალასა და მოქნილობას.



ჰისტოლოგია ბ: მკურნალობამდე: ატროფირებული ვაგინალური ლორწოვანი. ეპითელიუმი მსუბუქი პარაკერატოზით



ჰისტოლოგია გ: ლაზერის შემდგომი მკურნალობა: სქელი ვაგინალური ეპითელიუმი, მდიდარი გლიკოგენით



ჰისტოლოგია დ: ლაზერის შემდგომი მკურნალობა ნეოვასკულარიზაცია: ახალი სისხლძარღვები სუბეპითელურად, ლორწოვანის ზედაპირი

მოწოდებულია ექიმი ხორხე ალბერტო ელიასის მიერ, ბუენოს აირესი, არგენტინა

# ულტრათანამედროვე ტექნოლოგია: ახალი შესაძლებლობები ამბულატორიულ მკურნალობაში

## PIXEL $CO_2$ ლაზერი ღრმა თერმული გათბობისთვის, მიკროაბლაციისა და ქსოვილის რემოდელირებისთვის

ALMA-ს ფრაქციული $CO_2$ ლაზერი არის მაღალი სიმძლავრის სისტემა, რომელიც ამბულატორიულ სამედიცინო მანიპულაცია მატებს უპრეცენდენტო სიზუსტესა და ინოვაციას. თანამედროვე წამყავნ ქირურგიულ ინსტრუმენტებთან ერთად, მკურნალობის შედეგები ძლიერდება ALMA $CO_2$-ის მეშვეობით, რასაც მივყავართ ახალი შესაძლებლობებისკენ მინიმალურად ინვაზიურ ამბულატორიულ ქირურგიულ პროცედურებში.

FEMILIFT იყენებს ფრაქციული $CO_2$ ლაზერის ტექნოლოგიას, კანის გამკვრივებისა და გაახალგაზრდავების ოქროს სტანდარტს, ღრმა თერმული ეფექტის მისაღწევად ვაგინალური კოლაგენის მოდელირებისთვის, აგრესიული აბლაციის გარეშე. $CO_2$ ლაზერის ენერგია მიეწოდება ვაგინალურ ქსოვილს DOE-ის (დიფრაქციული ოპტიკური ელემენტი) მეშვეობით, რომელიც ახდენს სხივის პიქსელირებას 81 მიკროსკოპულ პიქსელამდე 9X9 შაბლონში.

**ეს ტექნოლოგიური მიდგომა ხელს უწყობს უფრო მაღალი ენერგიის დონის გამოყენებას პულსის კიდევ უფრო გახანგრძლივებით, ძლიერი და დიდი გავლენის მქონე თერმული ეფექტის მისაღწევად.**
თერმული ზონის მიკროსკოპული სვეტები აღწევენ ლორწოვანის ქვეშ ღრმად, ტოვებენ რა მიმდებარე ქსოვილებს ხელშეუხებლად, მინიმალური აბლაციით. ეს იძლევა სწრაფი შეხორცების შესაძლებლობას, ვინაიდან ვაგინალური კედლის ლორწოვანი გაახალგაზრდავდება. ეს პროცესი ახდენს არსებული ბოჭკოების შეკუმშვას და ახალი კოლაგენის წამოქმნას, სამიზნე ქსოვილის გაახალგაზრდავებით.




სურათი ბ: CO2 ლაზერი აღწევს ღრმა თერმულ ეფექტს, ვაგინალური კოლაგენის რემოდელირებისთვის.




სურათი გ: CO2 ლაზერის ენერგია მიეწოდება ვაგინალურ ქსოვილში, პიქსელური მოდელის გამოყენებით, რაც ხელს უწყობს უფრო სწრაფ შეხორცებასა და ვაგინალური კედლის გაახალგაზრდავებას.

*"ფრაქციული $CO_2$ ლაზერის (FemiLift) გამოყენება, ვაგინალურ კედლებში ქმნის თერმულ და აბლაციურ ეფექტებს, ასტიმულირებს რა კოლაგენის წარმოქმნის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას ვაგინალურ ლორწოვანქვეშა გარსში. კვლევაში მონაწილე ქალების 80%-მა მნიშვნელოვანი გაუმჯობესება განიცადა სექსუალურ რეაქციასთან დაკავშირებით."*

პროფ. გაბრიელ ალბერტო ფემოვასე
კორდობას უნივერსიტეტი, არგენტინა (UNC



# სისტემა ALMA FEMILIFT™:

## თანამედროვე ტექნოლოგიისა და კომფორტის ინტეგრირება ოპტიმალური შედეგების მისაღებად!

*"FEMILIFT უზრუნველყოფს პაციენტის კმაყოფილების მაღალ დონესა და გამოჯანმრთელების მცირე დროს. ეს პროცედურა მათთვისაა მისაღები, ვინც ეძებს მაღალი ხარისხის მკურნალობას, ეფექტურობას და ხანგრძლივ შედეგებს"*

**ექ. ალესანდერ ბეიდერი, FAAOCG**
ევროპის მეან-გინეკოლოგთა საბჭო - რეკონსტრუქციული და კოსმეტიკური გინეკოლოგი. ესთეტიკური გინეკოლოგიის ევროპული საზოგადოების (ESAG) დამფუძნებელი და პრეზიდენტი, ლონდონი, დუბაი, ათენი.



### FEMILIFT-ის სტანდარტული ზონდი

აღნიშნული მანიპულა მოწოდებულია, ერთჯერადი გამოყენების, ჰიგიენური ზონდით, რომელიც უნიკალურადაა დაპროექტებული სხვადასხვა ზომის ვაგინაზე მოსარგებლად და პაციენტის მაქსიმალური კომფორტის უზრუნველსაყოფად. მკურნალობის დროს, ექიმი ზონდს 360 გრადუსით ატრიალებს, მთლიანი ვაგინალური კედლის მოსაცავად, ეს უზრუნველყოფს სამიზნე ქსოვილების ოპტიმალურ დამუშავებას და მომატებულ უსაფრთხოებას.



### FEMILIFT-ის თხელი ზონდი

უფრო ვიწრო ანატომიური სტრუქტურებისთვის ახალი და ჰიგიენური, ერთჯერადი მოხმარების FEMILIFT-ის თხელი ზონდი დაპროექტდა იმ ქალებისთვის, ვისაც ბუნებით უფრო ვიწრო ანატომიური სტრუქტურები აქვთ, ასევე მათთვის, ვისაც აქვთ ანატომიური ან ჰისტოლოგიური ცვლილებები, როგორიცაა ვაგინალური ატროფია ან ქსოვილების დაზიანება, მათ სორის ონკოლოგიური მკურნალობის გამო. თხელი ზონდით მუშაობა იმავე პრინციპებით ხდება, როგორც სტანდარტული ზონდით.



### FEMITIGHT დიდი სასირცხვო ბაგეების დასაჭიმად

ახალი და უნიკალური დიზაინის მქონე FEMITIGHT არის CO2-ის ზონდი, რომელიც შეიქმნა დიდი სასირცხვო ბაგეების დაჭიმვის სამკურნალოდ.

ამ ზონდით ჩატარებული მკურნალობის დროს ხდება დაბალი სიმკრივის ლაზერის სხივით ზემოქმედება, რომელიც ნაზად ათბობს ქსოვილებს, რითაც ეფექტურად აღადგენს და ახლებს კოლაგენის ზრდას.



### LiteScan მცირე სასირცხო ბაგეების გაახალგაზრდავებისთვის

FEMILIFT LITESCAN გვთავაზობს ქსოვილის ფრაქციულ აბლაციას, მრავლობითი სკანირების შაბლონებით, რაც იწვევს კანის ტონუსის, ელასტიურობისა და ტექსტურის მკვეთრად გაუმჯობესებასა და ზედაპირული პიგმენტაციის შემცირებას. CO2 ლაზერის მკურნალობის მექანიზმის გამოყენებით, ის ხელს უწყობს დაჩქარებულ რეეპითელიზაციას, რითაც იძლევა სწრაფი შეხორცებისა და რეგენერაციის საშუალებას.

# ტექნიკური მახასიათებლები

| | |
|---|---|
| ლაზერის სიმძლავრე | 30 ვტ\|70 ვტ |
| FEMILIFT-ის ზონდი | დალუქული, ერთჯერადი გამოყენებისთვის |
| ერთჯერადი გამოყენების ზონდი | 2 ზომის |
| სიმძლავრე პიქსელზე | 10-120 მჯ |
| მკურნალობის არეალი | 1სმ$^2$ |
| პიქსელის წერტილის ზომა | 200 მკმ |
| ერგება ქირურგიული მიკროსკოპებისა და კოლპოსკოპების უმრავლესობას | |




## FEMILIFT SMART

### სწრაფი, ჰომოგენური მკურნალობისთვის



**ეს ინოვაციური რობოტული ტექნოლოგია უზრუნველყოფს მეტად აკურატულ და ჰომოგენურ მკურნალობას და ადვილად ერგება სხვადასხვა ჩვენებასა და პროტოკოლს. აპლიკატორის დაპროგრამება ხდება ჩვენებისა და მკურნალობის პარამეტრების მიხედვით და საშუალებას იძლევა მოახდინოს ავტომატური მანიპულაცია 360/120 გრადუსის შაბლონით, სამიზნე ქსოვილის ოპტიმალური დაფარვისთვის.**

**FEMILIFT SMART ჰომოგენური მკურნალობის საშუალებას იძლევა, ფოკუსირდება რა სხვადასხვა აპლიკაციის ოპტიმალურ პარამეტრებზე, მაღალი ეფექტურობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.**




### FEMICAM დიაგნოსტიკური ზონდი

FEMILIFT-ის ვაგინალური კამერა დიაგნოსტიკური ინსტრუმენტია, რომელიც ექიმს საშუალებას აძლევს მოახდინოს ვაგინალური ლორწოვანი გარსის თვალსაჩინოდ წარმოდგენა მკურნალობამდე და მას შემდეგ და შეაფასოს ქსოვილის რეაქცია ლაზერით მკურნალობაზე.

კამერა აღჭურვილია LED განათებით, რაც გავლენას არ ახდენს ქსოვილზე და ადვილად შეიძლება დაუკავშირდეს ანდროიდის პლანშეტს, რაც ექიმებს საშუალებას აძლევს, ჩამოტვირთონ გამოსახულების ჩანაწერები, შემდგომი ანალიზისთვის. ეს ზონდი ექიმებს საშუალებას აძლევს გაუწიონ პაციენტებს უკეთესი მონიტორინგი და მიიღონ პროცედურის შესახებ მეტი ინფორმაცია, ეს არის აუცილებელი ინსტრუმენტი დისპანსერიზაციის პროგრამის ეფექტურად განსახორციელებლად.

FemiCam-ის მეშვეობით, უფრო ზუსტად დააკვირდებით და შეაფასებთ კლინიკურ სურათს, უკეთ განსაზღვრავთ მკურნალობას და საბოლოო ჯამში, მიიღებთ უკეთეს შედეგებს.



## ALMA FEMILIFT-ის უპირატესობები

- სწრაფი, ჰომოგენური მკურნალობა
- უსაფრთხო, მარტივი და ეფექტური
- მომენტალური შედეგიანობა
- ჰიგიენური, ერთჯერადი გამოყენების საფარი
- მინიმალურად ინვაზიური ამბულატორიული მანიპულაცია
- **$CO_2$ ტექნოლოგია:** კლინიკურად და მეცნიერულად დამტკიცებული, როგორც ყველაზე ეფექტური მეთოდი კოლაგენის სტიმულირებისთვის

## მეტად ღირებული თქვენი კლინიკისთვის:

- საშუალებას გაძლევთ, გაზარდოთ კლინიკის პორტფოლიო და პაციენტთა სამიზნე აუდიტორია
- მარტივი და უსაფრთხო მოსახმარად
- ხელს უწყობს, პაციენტთან ხანგრძლივ ურთიერთობას

*"კვლევის ფაქტორების შეფასებამ დაადგინა, რომ ლაზერის ღირებულება საშუალოდ 10-20 ოპერაციის ექვივალენტურია, რა თქმა უნდა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით."*

ექიმი ხორხე ალბერტო ელიასი [Jorge Alberto Elías, MD], Centro Privado de Atención de las Patologías del Piso Pelviano y la Cosmética Femenina, ბუენოს აირესი, არგენტინა

---

## უკეთესი ცხოვრება თქვენი პაციენტებისთვის:

- უსაფრთხო, სწრაფი
- მიესადაგება მრავალ ზოგად მდგომარეობას
- უმტკივნეულო, ამბულატორიული მანიპულაცია
- რუტინული პროცედურა; ადვილად ჩართავთ ქალის ჯანმრთელობის მენეჯმენტში

*"FemiLift-ით მკურნალობა აღემატება ამჟამად ბაზარზე ხელმისაწვდომ სხვა პროცედურებს, ვინაიდან აქვს შესანიშნავი შედეგი. FemiLift-ის მეშვეობით, პაციენტებს შემიძლია შევთავაზო უსაფრთხო, ადვილად გამოსაყენებელი და უმტკივნეულო გადაწყვეტილება, რომელიც ნამდვილად მუშაობს. კლინიკაში ხანმოკლე ვიზიტის შემდეგ, შარდის შეუკავებლობის (SUI) სიმპტომები მცირდება ან საერთოდ აღმოიფხვრება, რაც ქალებს საშუალებას აძლევს, დაუყოვნებლივ დაუბრუნდნენ თავიანთ ნორმალურ აქტივობებს."*

ექიმი ქსენია სეე მარტინე [Dr. Ksenija Šelih Martine], კალისტეს სამედიცინო ცენტრი. სლოვენია

Alma Surgical ახალი სტანდარტია ინოვაციური, სწრაფი ლაზერული გადაწყვეტილებებისთვის. ჩვენი მიზანია მაღალტექნოლოგიური სისტემების შექმნა, რაც პრაქტიკოსებს მიცემს საშუალებას შესთავაზონ პაციენტეს სწრაფი, ეფექტური და უმტკივნეულო ამბულატორიული პროცედურები. გინეკოლოგიიდან, უროლოგიასა და ფლებოლოგიიდან პლასტიკურ ქირურგიამდე და დერმატოლოგიამდე, მსოფილიო ბრენდი ALMA LASERS-ი გთავაზობთ მინიმალურად ინვაზიურ ლაზერულ აპარატებს , რომლებიც გამოირჩევიან უპრეცენდენტო შედეგიანობით. Alma Surgical არის Alma Lasers-ის, ლაზერის გლობალური ინოვატორის, სინათლეზე დაფუძნებული, რადიოსიხშირული და ულტრაბგერითი გადაწყვეტილებების განყოფილება, სამედიცინო ესთეტიკისა და ქირურგიის ბაზარზე.

**WWW.SANSO.GE | WWW.SOPRANO.GE**


მსოფლიო ბრენდ ALMA LASERS-ის ექსკლუზიური დისტრიბუტორი საქართველოში, კომპანია SANSO

მისამართი: თბილისი, ბოჭორმის ქ. 50/18, 21-ე სართული

ტელ: 2 47 11 14

მობ: 579 29 22 29

ელ.ფოსტა: info@sanso.ge

www.sanso.ge

www.sopranoplatinum.ge

www.speedgel.ge